



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



## განკარგულება № 170

2011 წლის 30 ნოემბერი

ქალაქი ხაშური

### სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის N2 საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ

”ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის

მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის N2 საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროგრამა საერთო ბიუჯეტით 5000 (ხუთი ათასი) ლარი.  
/დანართი N1/
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის N2 საჯარო სკოლაში განსახორციელებელი  
პროგრამა

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ხაშურის მუნიციპალიტეტის სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის N2 საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროგრამის (შემდგომში პროგრამა) მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის განათლების მიღებაში ხელის შეწყობა;

2. პროგრამის მიღებას საფუძვლად უდევს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი და ხაშურის მუნიციპალიტეტის სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის N2 საჯარო სკოლის თხოვნა გადაჭრილ იქნეს მათ წინაშე მდგარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც დაკავშირებულია მათი სკოლაში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული და სკოლის თანამონაწილეობით მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებასთან დაკავშირებით.

**მუხლი 2. პროგრამის არსი**

პროგრამის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის სსიპ დ. კაკიაშვილის სახელობის ხაშურის N2 საჯარო სკოლაში დამთავრდება სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები: კერძოდ გაკეთდება სკოლის ფასადი ქუჩისა და წინა შესასვლელის მხრიდან .

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები დაიწყება 2011 წლის 5 დეკემბერს და დასრულდება 2011 წლის 28 დეკემბერს.

**მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის სართო ბიუჯეტია 5000 (ხუთი ათასი) ლარი.